2010-2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოსვლის წესით სწავლის უფლებამოპოვებულ, რეგისტრირებულ პირთათვის სწავლის ერთიანი გადასახადის გადახდის ვადის დაწესების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 27/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 18-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის,სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის 2010 წლის 10 სექტემბრის №04-3513(13.09.2010, №03-8451/10) და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის თამარ ცაგარეიშვილის 2010 წლის 17 სექტემბრის №03-8961/10 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2010-2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოსვლის წესით სწავლის უფლებამოპოვებულ, რეგისტრირებულ პირთათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პირველი წლის ერთიანი გადასახადის გადახდის ვადად განისაზღვოს არაუგვიანეს 2010 წლის 1 ოქტომბერი.

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტს, იურიდიულ სამსახურს, უნივერსიტეტის ფაკულტეტებს, აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოსა და ფინანსურ სამმართველოს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგო რატიანი